ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1245289

ნომერი: AR1214092

თარიღი : 23.04.2014

გაცემის თარიღი : 30.04.2014

გაცნობის თარიღი : 30.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის გამზირი N75-ის მიმდებარედ, მინდელის სახ. ხიდიდან გლდანში მიმავალ გზაზე, (ნაკვ. 26/15) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თომა ჩიტაიშვილი პ/ნ 31001018349
- მცხეთა გმირის ქ#2

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1214092 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.04.026.015) სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

როგორც არქიტექტურის სამსახურსი მიერ არაერთხელ AR1201430 და AR1210661 განცხადებებით გეცნობათ, თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს გზის პირს, რომელიც მდებარეობს რთული სატრანსპორტო კვანძისა და არსებული ხიდის სიახლოვეს. ზემოაღნიშნულიდან, ასევე მიწის ნაკვეთის კონფიგურაციიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკადასტრო ერთეული წარმოადგენს სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთს და მისი სამშენებლოდ განვითარება, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად არ მიაჩნია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახალი გარემოებების არ არსებობის გამო სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.